



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საჭიროებები

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2024

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2024

შესავალი

2024 წლის 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები მძაფრი პოლარიზაციით ხასიათდება და ერთგვარი რეფერენდუმის ხასიათს ატარებს. შედეგად, მსხვილი პარტიები და გაერთიანებები ორ ბანაკად არიან დაყოფილი. ერთ მხარეს მმართველი პარტია, მეორე მხარეს კი პრეზიდენტის ქართულ ქარტიაზე ხელმომწერი პარტიები და გაერთიანებები არიან დაჯგუფებული. ოპოზიციური პარტიების დათქმის მიხედვით, არჩევნებში ოპოზიციური ფლანგის გამარჯვების შემთხვევაში, პრიორიტეტი ქართული ქარტიით გათვალისწინებული ინსტიტუციონალური რეფორმების გატარებას მიენიჭება. შესაბამისად, მსხვილი პარტიებისა და გაერთიანებების ნაწილს არ გააჩნია დეტალური საარჩევნო პროგრამა.

ქართულმა ოცნებამ საარჩევნო პროგრამა აუდიო-ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარადგინა პარტიის ერთ-ერთ ღონისძიებაზე და პროგრამის ბეჭდური ვერსია არ მოიპოვება, ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ, ხუთ პუნქტიანი მოკლე დოკუმენტი წარადგინა, ხოლო კოალიციამ ცვლილებებისთვის 7 გვერდიანი დოკუმენტი. შედარებით უფრო დეტალური საარჩევნო პროგრამები წარადგინეს გაერთიანება ძლიერმა საქართველომ, გახარამ საქართველოსთვის და გირჩმა.

ქვემოთ გთავაზობთ 6 მსხვილი პარტიისა და გაერთიანების საარჩევნო პროგრამის ანალიზს, რომელშიც პარტიების მიერ, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით გაკეთებულ დაპირებებს განვიხილავთ.

პარტიების პროგრამები

- კოალიცია ცვლილებისთვის (4)

კოალიციის საარჩევნო პროგრამა, სახელწოდებით “მომავალი შენია“, რომელიც 17 ოქტომბერს გამოქვეყნდა, არ შეიცავს ჩანაწერს ეთნიკური უმცირესობების შესახებ.

თუმცა, 5 ოქტომბერს პარტია ახალის სოციალური მედიის გვერდზე კოალიციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს ეხმაურება¹. განცხადების მიხედვით, კოალიცია სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მხარს უჭერს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტების დაწესებულებებში დროებით, პრობლემის მოგვარებამდე, თარჯიმნის პოზიციის შემოღებას. სახელმწიფო სერვისებზე წვდომის გარდა, კოალიცია ენობრივ ბარიერს, არჩევნებში ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ბარიერადც განიხილავს. განცხადების მიხედვით, თარჯიმნის პოზიციას ადგილობრივი ქართულის, აზერბაიჯანულისა და სომხურის მცონე ახალგაზრდები დასაქმდებიან, რის შედეგადაც ყველა კომუნიკაცია სათანადოდ იქნება თარგმნილი. იგივე განცხადებაში ვკითხულობთ კოალიციის დაპირებას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საბავშვო ბაღების დეფიციტისა და სკოლების ინფრასტრუქტურის მოგვარების შესახებ. ამ პრობლემების მოგვარებისთვის კოალიცია განსაკუთრებულ როლს კერძო ინიციატივების მხარდაჭერაში ხედავს.

¹პარტია ახალის Facebook გვერდი, [ბმული](#). წვდომა: 25 ოქტომბერი, 2024,

კოალიციის სიის 10-ე ნომერმა, ოქტაი ქაზუმოვმა, რადიო მარნეულთან მიცემულ ინტერვიუში სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისთვის თარჯიმნის პოზიციის შემოღების გარდა, ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებთან დაკავშირებული მეორე დაპირებაც გააჟღერა. კერძოდ, ოქტაი ქაზუმოვის მიხედვით, კოალიცია ამომრჩევებს ჰპირდება, რომ 4+1 საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ქართული ენის სწავლების კურსი იქნება უფასო².

• ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა (5)

გაერთიანებამ, ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა, 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის 5 პრიორიტეტის ამსახველი ბროშურა წარადგინა. ბროშურაში არ არსებობს კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობებთან დაკავშირებული ჩანაწერი.

• ძლიერი საქართველო (9)

ძლიერი საქართველოს პროგრამაში, სახელწოდებით „ილიას გზა“³, ქვესათაურის ‘მრავალეთნიკური ძლიერი საქართველო’-ს ქვეშ ეთნიკური უმცირესობებთან დაკავშირებულ სამ დაპირებას ვხვდებით.

1. როგორც გადაწყვეტილების მიღების ისე აღსრულების პროცესში არადომინანტური ჯგუფების წარმომადგენლობის გაზრდა მათი პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობის გზით.
2. ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა ამ სერვისების სახელმწიფო დაფინანსებისა და მრავალფეროვანი სერვისების მიწოდების გზით.
3. მრავალეთნიკური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების კულტურული ძეგლებისთვის „საერთო ეროვნული ღირებულების მინიჭებით“.

გაერთიანების სიის 22-ე ნომერმა, აგილ მუსტაფაევმა რადიო მარნეულთან მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ყველა მუნიციპალიტეტში სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, მუნიციპალური სერვისები უმცირესობების ენებზეც უნდა იყოს ხელმისაწვდომი⁴.

• გახარია საქართველოსთვის (25)

პარტია გახარია საქართველოსთვის საარჩევნო პროგრამა, სახელწოდებით „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“ რამდენიმე თემატური თავისგან შედგება⁵. ქვეთავში სათაურით

² რადიო მარნეული, პოლიტიკური სუბიექტების პარტიული ხედვა ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე, 15 ოქტომბერი, 2024 - [ბმული](#). წვდომა: 25 ოქტომბერი 2024,

³ ძლიერი საქართველო, ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის, საარჩევნო გეგმა ილიას გზა - [ბმული](#). წვდომა: 25 ოქტომბერი, 2024.

⁴ რადიო მარნეული, პოლიტიკური სუბიექტების პარტიული ხედვა ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე

⁵ გახარია საქართველოსთვის, ღირსეული ცხოვრების მანიფესტი, საარჩევნო პროგრამა 2024 - [ბმული](#). წვდომა: 25 ოქტომბერი, 2024.

„თანასწორობის და ძალადობისგან დაცვის პოლიტიკა“, ეთნიკური უმცირესობების საკითხს ერთი პარაგრაფი ეძღვნება. კონკრეტულად კი, პარტია ამომრჩეველს ეთნიკური უმცირესობების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის ხელის შეწყობას ჰპირდება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის მიზნით, პარტია როგორც ცენტრალურ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის დაპირებას აკეთებს. პარტია ასევე აღნიშნავს, რომ “მნიშვნელოვანია, ეს არ დარჩეს დაპირებად. ამიტომ, უკვე ვმუშაობთ, რომ პარტია გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით იყოს წარმოდგენილი”. პარტია ამომრჩეველს ასევე პირდება დასაქმებისა და პოლიტიკური მონაწილეობის თანაბარ პირობებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. ბოლოს, პარტია აღნიშნავს რომ გახარია საქართველოსთვის მუდმივი პრიორიტეტია ყველა სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

აღნიშნული პარაგრაფის გარდა, პარტიის პროგრამის შესავალშიც ვხვდებით ქართული საზოგადოების მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე ხაზგასმას. გახარია საქართველოსთვის აღნიშნავს, რომ პარტიის მიერ გატარებული პოლიტიკა უზრუნველყოფს ყველა ადამიანისა და მოწყვლადი ჯგუფის, მათ შორის უმცირესობების ინტერესებისა და უფლებების დაცვას, და “ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან ინტეგრაციას ქვეყნის სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში”. პარტია მიიჩნევს რომ შესაძლებელია ქვეყანაში არსებული განსხვავებების უპირატესობად ქცევა და ერთიანი და ამავდროულად მრავალფეროვანი საზოგადოების ჩამოყალიბება.

- გირჩი (36)

გირჩის პროგრამა ტექსტებისა და ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ვიდეოებისგან შედგება. მასში ვერ ვპოულობთ ჩანაწერს ეთნიკური უმცირესობების შესახებ⁶.

- ქართული ოცნება (41)

ქართულ ოცნებას საარჩევნო პროგრამა ბეჭდური სახით არ წარუდგენია. 7 ოქტომბერს გამართულ ღონისძიებაზე კი, სადაც პრემიერ მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პარტიის საარჩევნო პროგრამა ზეპირად წარადგინა, ეთნიკური უმცირესობების და მათთან დაკავშირებული დაპირებები არ გაჟღერებულა.

შესაბამისად, ეთიკური უმცირესობებისადმი ქართული ოცნების გზავნილები და დაპირებები ლიდერების გამოსვლებში უნდა ვეძებოთ. 8 სექტემბერს, ახალციხეში გამართულ ქართული ოცნების მხარდამჭერ აქციაზე, ბიძინა ივანიშვილმა შეკრებილებს გრძელი სიტყვით მიმართა⁷. ქართული ოცნების საპატიო თავმჯდომარემ რამდენიმე დაპირება გააჟღერა, მათ შორის: 2025 წლისთვის რეგიონის სრული გაზიფიცირების დასრულება, სამუშაო ადგილების შექმნა და ტურიზმის განვითარება.

ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ იმის და მიუხედავად რომ ქართული ოცნება კონსტიტუციაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის, ასახვას აპირებს, ეს არ დააკნინებს სხვა

⁶ გირჩის პროგრამა არჩევნები 2024 - [ბმული](#). წვდომა: 25 ოქტომბერი, 2024.

⁷ ქართული ოცნების Facebook გვერდი, 8 სექტემბერი, 2024- [ბმული](#). წვდომა: 25 ოქტომბერი, 2024.

რელიგიური კონფესიის მნიშვნელობას საქართველოში და აღნიშნა რომ განსხვავებული რელიგიებისადმი პატივისცემა მომავალშიც გაგრძელდება - “თითოეულ რელიგიური კონფესია ისევე იქნება დაცული, როგორც აქამდე, მათი თავისუფლების დაცვის გარანტი კი კვლავაც სახელმწიფო იქნება, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო თანაბრად ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა”.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის და უფლებების დაცვის ხელშეწყობისთვის

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის, მათი ინტეგრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია კომპლექსური და მულტისექტორული მიდგომის გამოყენება. განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და ეთნიკური უმცირესობების სპეციფიკურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მიზნობრივ პოლიტიკას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერება;
- სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის დაცვა და მხარდაჭერა;
- რელიგიური თავისუფლების, სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების დაცვა;

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად საჭირო ნაბიჯები:

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გასაძლიერებლად ცენტრალურ და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში, კანონმდებლობაში, უმცირესობების ჯგუფებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთაშორისო აქტორებთან კონსულტაციით, აუცილებელია დაინერგოს საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული სპეციალური პოზიტიური მექანიზმი;
- აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე, ასევე იმ რეგიონების თვითმმართველობებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულნი, უნდა შეიქმნას ევროპის საბჭოს რეკომენდაციებსა და სტანდარტებთან მისადაგებული რეგულარული და დემოკრატიული საკონსულტაციო მექანიზმები, რომლებიც იმუშავებენ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამის კანონმდებლობაში უნდა აისახოს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ამ მექანიზმებთან კონსულტაციის აუცილებლობის ვალდებულება. მათი რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უარყოფითი გადაწყვეტილება სათანადოდ უნდა დასაბუთდეს;
- საჯარო სამსახურებში, საჭიროა გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების დასაქმების მაჩვენებელი, რაც მოიცავს კონკურსის წესის, რეკრუტმენტის სპეციალური წესის დანერგვას, და დასაქმებულთა მხარდაჭერის პროგრამების გაძლიერებას (ძირითადად, ქართული ენის დამატებითი სწავლების პროგრამების);

- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების პერსპექტივის უკეთ წარმოსაჩენად, აუცილებელია, ცენტრალური და აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, მინისტრებისა და მერების აპარატებში შეიქმნას შესაბამისი მრჩეველის პოზიცია;
- მოქალაქეობის აღდგენის პროცესი უნდა გამარტივდეს, ქართული ენის გამოცდისა და სხვა ბიუროკრატიული პროცესების გამარტივებით, და გარკვეული კატეგორიის აპლიკანტების (მაგალითად, ხანდაზმულები, შშმ პირები და ა.შ.) გამოცდის ვალდებულებისგან გათავისუფლებით;
- ასევე, რეპატრირებული მესხებისთვის, უნდა გამარტივდეს მოქალაქეობის მინიჭების პროცესი, ხელოვნური და უსაფუძვლო ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნით.

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა:

- უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში, მნიშვნელოვანია აღმოიფხვრას საბავშვო ბაღების დეფიციტი, ასევე მნიშვნელოვანია ამ საკითხის პრიორიტეტული მხარდაჭერა;
- აუცილებელია შემუშავდეს სახელმწიფო პოლიტიკისა და რეფორმის გეგმა მრავალენოვანი და მრავალკულტურული სასკოლო განათლების უზრუნველსაყოფად, რომელიც რეგულარულად გადაიხედება შესაბამისი კვლევითი მონაცემების საფუძველზე. გარდა ამისა, სკოლებში, სადაც სწავლება ეთნიკური უმცირესობების ენებზე მიმდინარეობს, სწავლების ხარისხის გასათანაბრებლად ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებს შორის, უნდა იყვნენ საკმარისი რაოდენობისა და დამაკმაყოფილებელი კვალიფიკაციის მასწავლებლები;
- არსებული პოლიტიკის წარუმატებლობის ფონზე, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდოლოგია უნდა გადაიხედოს და განხორციელდეს შესაბამისი რეფორმა;
- საჭიროა გაუმჯობესდეს 1+4 საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხი და მასზე ხელმისაწვდომობა. ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პროგრამის ბენეფიციარები უნდა გათავისუფლდნენ ქართული ენის სწავლების ერთწლიანი კურსის გადასახადისგან, ასევე, უფასო ფაკულტეტებზე სწავლისას, პროგრამის ბენეფიციარები სრულად უნდა გათავისუფლდნენ გადასახადისგან.
- საჯარო სერვისებისა და სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამების/პროექტების დაგეგმვამდე, აუცილებელია ჩატარდეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების კვლევა, რათა სერვისები, პროგრამები და პროექტები იყოს მიზანმიმართული და შესაფერისი, ადგილობრივ სპეციფიკასთან დაკავშირებული რეალური საჭიროებების გადასაჭრელად;
- ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისები უნდა გამდიდრდეს იმ კადრებით, რომლებიც ფლობენ უმცირესობათა ენებს (მაგალითად, ექიმები, ექთნები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, პოლიციელები). ეს ნაბიჯი არა მხოლოდ გააუმჯობესებს სერვისების ხარისხს, არამედ გაზრდის კიდევ მათ მიმართ მოთხოვნას.
- აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას უზრუნველყოფილი იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაცია უმცირესობათა ენებზე, მათ შორის მცირე რაოდენობის მქონე ეთნიკური

ჯგუფებისთვისაც. ადმინისტრაციული ფორმალობებისთვის საჭირო ფორმები უნდა ითარგმნოს უმცირესობათა ენებზე და განთავსდეს როგორც შესაბამის ვებგვერდებზე, ისე საჯარო დაწესებულებების შენობებში;

- საჭიროა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გვერდების თარგმნა ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე, მათი სრული ჩართულობისა და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად;
- ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული შშმ პირების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საჭიროა კანონმდებლობასა და სხვა სახელმწიფო დოკუმენტებში მათი ერთ-ერთ ყველაზე მოწვლად ჯგუფად აღიარება, შესაბამისი სტატისტიკის წარმოება და მათი სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენა. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საჯარო სერვისების ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე მიწოდების უზრუნველყოფამდე, აუცილებელია შშმ პირებმა შეძლონ უფასო პროფესიონალი თარჯიმნის სერვისით სარგებლობა, განსაკუთრებით სამედიცინო დაწესებულებებთან ურთიერთობისას. ამასთანავე, საჭიროა შშმ სტატუსის მადიებელთა და სტატუსის შეცვლის მსურველთა შესაბამის სერვისებზე წვდომის გეოგრაფიული უზრუნველყოფა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების გახსნის ან/და მათ საჭიროებებზე მორგებული და უფასო ტრანსპორტის დაწესების გზით.
- აუცილებელია შეგროვდეს და დამუშავდეს ეთნიკურად სეგრეგირებული მონაცემები, მათ შორის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, დასაქმების, საგანმანათლებლო მიღწევებისა და მიგრაციის შესახებ;
- გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებზე, უზრუნველყოფილი იყოს ამ პროგრამების შესახებ ინფორმაციის მათ მშობლიურ ენებზე მიწოდება და სააკლიკაციო პროცედურის ჩატარება თარგმანის სერვისების გამოყენებით
- ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ჩატარდეს მიწის რეფორმა, რათა გამოვლინდეს და გამოსწორდეს სამეურნეო მიწების შესაძლო უკანონო მითვისების შემთხვევები;
- მოგვარდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების რეგისტრაციის პრობლემა;
- შემუშავდეს და განხორციელდეს სასოფლო მეურნეობის მოდერნიზაციის პროგრამები, იმგვარად, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის, მათთვის გასაგებ ენაზე იყოს ხელმისაწვდომი.

ეთნიკური და რელიგიურ უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის დაცვა და მხარდაჭერა:

- მნიშვნელოვანია აღიწეროს უმცირესობათა კულტურული ძეგლები და შედგეს შესაბამისი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხა. ასევე, აუცილებელია შეიქმნას სტაბილური და განგრძობადი დაფინანსების მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს უმცირესობათა კულტურების განვითარებასა და მხარდაჭერას
- აჭარის ხის მეჩეთებს უნდა მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მათი სტრუქტურული და ესთეტიკური რესტავრაცია უნდა ჩატარდეს შესაბამისი სტანდარტების სრული დაცვით;

- სასკოლო სახელმძღვანელოებიდან უნდა ამოიღონ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ არსებული ნეგატიური მითები და სტერეოტიპები. სასწავლო გეგმებში, მასალებსა და მასწავლებლების ტრენინგებში უნდა შეიტანონ ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების კულტურების, ტრადიციების, ისტორიის, რელიგიებისა და ენების შესახებ, მათ შორის მცირე რიცხოვრივი უმცირესობების. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და დაფასდეს ეთნიკური უმცირესობების როლი საქართველოს მრავალფეროვან საზოგადოებაში. გარდა ამისა, ასამაღლებელია ცნობიერება იმის შესახებ, რომ ეთნიკური უმცირესობების უფლებები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილია;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეთნიკურ უმცირესობებზე უნდა განხორციელდეს ფართომასშტაბიანი კამპანიები, რომელთა მთავარი პლატფორმა საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვა მედიასაშუალებები იქნება;
- მნიშვნელოვანია წახალისდეს ქართველობისა და საქართველოს მოქალაქის ცნების, სამოქალაქო და არა ეთნო-ნაციონალისტურ იდენტიფიკაციებზე დაფუძნებული ინკლუზიური განსაზღვრება;
- ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობებს შორის სოციალური გაუცხოების გადასალახად, საჭიროა შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, რომელთა ფარგლებში ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლებს უშუალო კონტაქტი ექნებათ ერთმანეთთან. ამ მიზნის მისაღწევად, საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებებს შორის შესაძლებელია გაცვლითი პროგრამების ორგანიზება, სადაც უმცირესობებისა და უმრავლესობის წევრებს საშუალება მიეცემათ, გაიცნონ ერთმანეთი და გადალახონ არსებული სტერეოტიპები და შესაძლო ნეგატიური წინასწარგანწყობები;
- საჭიროა რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის რატიფიცირება. საქართველო, უკვე 24 წელია, აგვიანებს ევროპის საბჭოში გაწევრიანების მოლაპარაკებებისას აღებული ამ ვალდებულების შესრულებას.

რელიგიის თავისუფლება და თანასწორობა:

- აუცილებელია შეწყდეს რელიგიური ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი მუსლიმი თემის ავტორიტეტად სახელმწიფო უსაფრთხოების ჭრილში მოქცევა. ამის მაგივრად, საჭიროა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების გაძლიერება, რათა მორწმუნეებს და რელიგიურ ორგანიზაციებს მიეცეთ აღმსარებლობის თავისუფლების და საკუთარი ორგანიზაციული საკითხების ავტონომიურად გადაწყვეტის საშუალება;
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდის საბჭოთა კავშირის პერიოდში უკანონოდ ჩამორთმეული კულტურული ძეგლებისა და რელიგიური მონუმენტების ისტორიული და კონფესიური მესაკუთრეებისთვის დაბრუნებას (რესტიტუციას);
- აუცილებელია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გაუქმება, მისი ბუნდოვანი და ფართო მანდატის, მისდამი დაბალი ნდობისა და მისგან გამომავალი საფრთხეების გათვალისწინებით;
- არსებითია, გადაიხედოს რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა და ახალი მიდგომები დაეფუძნოს თანასწორობის, სეკულარიზმისა და გამჭვირვალობის პრინციპებს;
- აუცილებელია, აღმოიფხვრას დისკრიმინაციული ჩანაწერები და პრეფერენციული მიდგომები როგორც სახელმწიფო ქონების შესახებ კანონსა და საგადასახადო კოდექსში, ისე სახელმწიფო თავდაცვის კოდექსში, სადაც არსებული დებულება

ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესრულების ან გადავადების ვალდებულებისგან სრულად ათავისუფლებს მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს, რაც ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს.

- რელიგიური ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში აუცილებელია თანასწორობის პრინციპის განუხრელი უზრუნველყოფა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ქართველი მუსლიმი თემის ისტორიული მოთხოვნის მხარდაჭერა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ეთნიკური უმცირესობების თემებიდან აქტივისტებთან, თემის ლიდერებთან და მკვლევრებთან კონსულტაციებით მომზადდა და ასევე გაუზიარდა ძირითად პოლიტიკურ პარტიებსა და გაერთიანებებს.

დასკვნა

26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების გრძელი წინასაარჩევნო პერიოდი, რომელიც გაზაფხულის აქციებიდან დაიწყო, ხასიათდება მძაფრი პოლარიზაციითა და მონოთემატურობით. მსხვილი ოპოზიციური პარტიები და გაერთიანებები მომავალ არჩევნებს ერთგვარ რეფერენდუმად სახავენ.

მმართველი პარტიის მიხედვით, მომავალი არჩევნების წინ, მთავარი საკითხები დასავლური, ლიბერალური ქვეყნების ჩარევისგან საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა და „რადიკალური ოპოზიციის“ დასრულებაა. ქართული ოცნება სახელმწიფო სუვერენიტეტში მოიაზრებს როგორც პოლიტიკურ სუვერენიტეტს, ისე ქართული ტრადიციებისა და ჩვეულებების დაცვას დასავლური, ლიბერალური ღირებულებებისგან. „რადიკალური ოპოზიციის“ დასრულება კი, მმართველი პარტიის განმარტებით გულისხმობს მსხვილი პრო-დასავლური ძალების პოლიტიკურ დამარცხებასა და შესაძლო სამართლებრივ დევნას.

მსხვილი ოპოზიციური პარტიებისა და გაერთიანებებისთვის კი, მომავალი არჩევნების მთავარი თემა ქართული ოცნების „ავტორიტარული რეჟიმის“ დასრულება და ქვეყნის პრო-დასავლურ ვექტორზე დაბრუნებაა. 26 ოქტომბრის ზემოთ აღნიშნულმა სპეციფიკამ, დიდ წილად შთანთქა სოციო-ეკონომიკური და უფლებრივი თემატიკა. ეს ნათლად იკვეთება მოცემულობაში რომ ორ უმსხვილეს პარტიას/გაერთიანებას, ქართულ ოცნებასა და ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობას დეტალური საარჩევნო პროგრამა არ წარუდგენია.

რაც შეეხება წარდგენილ საარჩევნო პროგრამებსა და ზოგადად საარჩევნო დაპირებებს, ქართულმა ოცნებამ პროგრამის ან მაღალი რანგის ლიდერის მეშვეობით მხოლოდ ერთი დაპირება გააკეთა კონკრეტულად ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით. თუმცა, ეს ერთადერთი დაპირებაც კი, ლოგიკურ წინააღმდეგობასა და ფაქტობრივ უზუსტობებს შეიცავს. კონკრეტულად, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბიძინა ივანიშვილი ეთნიკურ უმცირესობებს დაჰპირდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის როლის როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის საყრდენის ასახვა საქართველოს კონსტიტუციაში არ დააკნინებს სხვა სარწმუნოებების მნიშვნელობას და “თითოეულ რელიგიურ კონფესიას ისევე იქნება დაცული, როგორც აქამდე, მათი თავისუფლების დაცვის გარანტი კი კვლავაც სახელმწიფო იქნება, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში,

სადაც სახელმწიფო თანაბრად ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა”.

მართლამდიდებელი ეკლესიისთვის განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსი მინიჭება, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი სახელმწიფო რელიგიად აღიარებაზე, არათანაბარ პირობებში ჩააყენებს ქვეყანაში არსებულ რელიგიურ კონფესიებსა და მათ მორმწმუნეებს. რაც შეეხება განცხადებას, რომ სახელმწიფოს თანაბრად ზრუნავს ყველა ეროვნების მოქალაქეზე, განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა, ეს ფაქტობრივი უზუსტობაა, რაც ნათლად სჩანს ეთნიკური უმცირესობების სოცი-ეკონომიკურ და კულტურულ გარიყულობასა და რუტინად ქცეულ რელიგიური უმცირესობების რელიგიის თავისუფლების შელახვაში, იქნება ეს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე უარი, თუ ბოლო წლებში მომრავლებული მუსლიმი თემის დევნის შემთხვევები.⁸

რაც შეეხება ოპოზიურ პარტიებს, როგორც ვნახეთ, ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობას არც საარჩევნო პროგრამაში და არც პარტიული ლიდერის პირით კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებთან დაკავშირებული დაპირება არ გაუცია.

გაერთიანება კოალიცია ცვლილებისთვის პროგრამაში არსებული დაპირებები სახელმწიფო სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით თარჯიმნის პოზიციის შექმნასთან დაკავშირებით, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელ და სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევების აღმოფხვრის შესახებ, მისასალმებელია. თუმცა კი, გამჭირვალობა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა მსხვილი ოპოზიციური პარტიებისგან მეტ დეტალებსა და კონკრეტულ გეგმებს მოითხოვს, განსაკუთრებით კი ისეთი დაპირებების შემთხვევაში, რომლებიც ასეთი რთული, მრავალწლიანი და სისტემური პრობლემების აღმოფხვრას გულისხმობენ.

გაერთიანება ძლიერი საქართველოს და გახარია საქართველოსთვის საარჩევნო პროგრამები ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკაში მონაწილეობის დაპირებას შეიცავენ. ეს დაპირება ნამდვილად პოზიტიურია, იმის გათვალისწინებით რომ ორივე პოლიტიკური სუბიექტის შემთხვევაში, ეს დაპირება ეხება ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობას როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე. თუმცა კი, ეს დაპირებებიც ზოგადია და უფრო მეტი კონკრეტიკა და დეტალები არის საჭირო, განსაკუთრებით კი იმ საკანონმდებლო თუ სხვა მექანიზმების შესახებ, რომლის საშუალებითაც აპირებენ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკაში ჩართულობის გაძლიერებას.

გაერთიანება ძლიერი საქართველო, ეთნიკურ უმცირესობებს ასევე პირდება უფასო და მრავალფეროვანი ქართული ენის შესასწავლი სერვისების მიწოდებასა და უმცირესობების კულტურული ძეგლებისთვის საერთო ეროვნული ღირებულების მინიჭებას. ეს დაპირებებიც ცალსახად პოზიტიურია, თუმცა კი ამ შემთხვევაშიც, განსაკუთრებით კი ქართული ენის შესწავლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ დაპირებაში მეტი კონკრეტიკაა საჭირო.

⁸ნიგვზიანი 2012, წინწყარო 2013, სამთაწყარო 2013 - [ბმული](#), ჭელა 2013 - [ბმული](#), ქობულეთი 2014 - [ბმული](#), მოხე 2014 - [ბმული](#), სოფელი ადიგენი 2016 - [ბმული](#), ბუკნარი 2021 - [ბმული](#), დაბა ადიგენი, 2023, 2024 - [ბმული](#).

ბოლოს, ძლიერი საქართველოს სიის 22-ე ნომერმა, აგილ მუსტაფაევმა მედიასთან გააჟღერა დაპირება რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების მიწოდება ეთნიკური უმცირესობების ენებზეც მოხდება. ეს დაპირებაც ცალსახად დადებითია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეს დაპირება არ შევიდა გაერთიანების წინასაარჩევნო პროგრამაში და მხოლოდ ერთი კანდიდატის მიერ იქნება გაჟღერებული, ბადებს ეჭვებს გაერთიანების შიგნით ამ საკითხის გარშემო კონსენსუსის არსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ რომ სამი მსხვილი ოპოზიციური პარტია და გაერთიანება, კოალიცია ცვლილებისთვის, ძლიერი საქართველო და გახარია საქართველოსთვის საკუთარ წინასაარჩევნო დაპირებებში შეეხო ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა განათლება, ქართული ენის შესწავლა, სერვისებზე ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობების ენებზე, პოლიტიკაში ჩართულობა და კულტურული აღიარება. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ დაპირებები არ შეიცავს დეტალებს და შესაბამისად შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ რა ფორმითა და რა მექანიზმების მეშვეობით ეცდებიან პოლიტიკური სუბიექტები გაცემული დაპირებების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი მსხვილი ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტი არ შეეხო რელიგიის თავისუფლებასა და სეკულარული სახელმწიფოს იდეას საკუთარ საარჩევნო პროგრამაში. ბოლოს, არც ერთმა მსხვილმა საარჩევნო სუბიექტმა არ ისურვა გაეცა დაპირება იმ უსამართლობის გამოსწორებასთან დაკავშირებით, რაც ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ხელოვნურად დაბრკოლებას უკავშირდება.